უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №54

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 15/10/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 16:57 სთ
სხდომის თავმჯდომარე - გიორგი ამილახვარი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი; **(სხდომის თავმჯდომარე)**
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; **(საბჭოს მდივანი)**
3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
6. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;
10. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
13. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
14. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ეკატერინე ბაღიშვილი	დირექტორის მოადგილე
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	დალი გურასპაშვილი	სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით ლორთქიფანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	I
2	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II-IV
3	თეა კბილცეცხლაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი	II-IV
4	კახაბერ ჯაყელი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მარკეტინგის პროგრამის კოორდინატორი	II-IV
5	ილია ბოცვაძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბიზნეს ადმინისტრირების, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორი	II-IV

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლორენცო რუკი	ჩაერთო Skype-ით	I
2	ლანა ბოკუჩავა		I
3	რამაზ შენგელია		I

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი: გიორგი ამილახვარი, სხდომის თავმჯდომარე

ცვლილების არგუმენტაცია: ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდნენ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ შესრულებული ანგარიშები „სატყეო საქმის“ საბაკალავრო და „ვეტერინარიის ინტეგრირებულ“ (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამებზე.
შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4, მე-5 და მე-6 საკითხი განხილულიყო მე-2, მე-3 და მე-4 საკითხად. ასევე, თავმჯდომარემ იშუამდგომლა იმის შესახებაც, რომ რადგან უნივერსიტეტი, საფეხურები და სწავლების ენა ერთი და იგივე იყო, დაწესებულების წარმომადგენლებს ანგარიშები ერთად წარმოედგინათ.
საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შუამდგომლობას. შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი, კერძოდ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა გადაიდო.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

2. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

3. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია
2	სტატუსი[2]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„---------„
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	„---------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	პალეოანთროპოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0588 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0588
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0179, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №3, თსუ, მე-2 კორპუსი; საქართველო 0186, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის 1#13, თსუ მე-XI კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„---------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ლევან გორდეზიანი, ირაკლი ბურდული და ნიკოლოზ ჯავახიშვილი
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომას თავდაპირველად ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელმაც პოზიტიურად შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა.

---

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

ქართველმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს დარგი უკვე დიდი ხანია ქართულ მეცნიერებაში წარმატებულია, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისითაც გაფართოვდა კვლევა, რაშიც იგულისხმება უცხოელებთან კავშირი.

მისი თქმით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია მაღალ დონეზე, რომელიც პასუხობს ყველა სტანდარტს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა გარკვეული რჩევებიც, რომელიც დასკვნაში არის ასახული. ქართული მეცნიერებისათვის ეს დარგი მულტიდისციპლინური მეცნიერებაა, რასაც ექსპერტი წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია რჩევები, როგორც ლიტერატურის დამატების, ასევე პროგრამის ფორმატის შესახებ. ის დაეთანხმა ექსპერტს, რომ აღნიშნული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. მისი თქმით, ის ადრეც არსებობდა, მაგრამ სხვა ფორმატით. ჯერ პროგრამა იქმნებოდა, შემეგ კი თემების ძიება მიმდინარეობდა მის გარშემო. ახლა კი ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უკვე არსებულ, ძალიან ბევრ სადისერტაციო კვლევას აერთიანებს, როგორც უცხოელი, ისე ქართველი ახალგაზრდა მკვლევრების ავტორობით.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:26
დამთავრების დრო: 16:44
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია
2	სტატუსი[11]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„---------„
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	„---------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	პალეოანთროპოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0588 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	0588
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო 0179, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №3, თსუ, მე-2 კორპუსი; საქართველო 0186, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის 1#13, თსუ მე-XI კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	„---------„

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„---------„

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ დატოვა სხდომა 16:41 საათზე

2. მეორე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	მარკეტინგი
2	სტატუსი[20]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 14 სექტემბერი; №124
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	„---------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0414 მარკეტინგი და რეკლამა
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	0202
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო 0131 ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 14 სექტემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	ანგარიშის წარმოსადგენად და მონიტორინგის განსახორციელებლად

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 16 სექტემბერი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 15 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა „მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლოს დაწესებულების წარმომადგენლის, კახაბერ ჯაყელის თქმით, მათ მიერ გათვალისწინებული და დანერგილ იქნა ყველა რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	ფინანსები

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

2	სტატუსი[29]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 14 სექტემბერი; №121
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	„----------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (Bachelor of Business Administration in Finances)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	0204
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო 0131 ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 14 სექტემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	ანგარიშის წარმოსადგენად და მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 16 სექტემბერი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 15 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

---

[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა მათ მიერ „ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლის, „ფინანსებისა" და „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის, ილია ბორცვაძის თქმით, ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა.
მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების ახალი სტანდარტებით ჩამოყალიბებას, რომელიც გაითვალისწინეს და 35 შედეგიდან ისინი დაიყვანეს 9 შედეგამდე. ასევე, მისი თქმით, მოხდა სავალდებულო და არჩევითი საგნების დამატება.
რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამაში დაინტერესებული პირების ჩართულობას, ეს ნაწილი უფრო გააქტიურეს, გამოიკითხა დამსაქმებლები, 33 კომპანია, რომელთა უკუკავშირები გათვალისწინებულ იქნა. ასევე, გამოიკითხა კურსდამთავრებულებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ დაამატეს შესაბამისი საგნები, დაემატა მიმართულების აკადემიური კადრები. სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები ბაზრისათვის უფრო მორგებული გახდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
2	სტატუსი[38]	აკრედიტებული

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 14 სექტემბერი; №123
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	„----------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში (Bachelor of Business Administration in Accounting)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0201
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო 0131 ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 14 სექტემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	ანგარიშის წარმოსადგენად და მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 16 სექტემბერი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 15 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

---

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა მათ მიერ „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლის „ფინანსებისა" და „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის, ილია ბორცვაძის თქმით, წინა (III) საკითხზე მოხსენებული შეფასება განკუთვნილი იყო ასევე მოცემული (IV) საკითხის შესაფასებლადაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე **გიორგი ამილახვარი**

საბჭოს მდივანი **ნინო ლიპარტია**